



# საქართველო

საგარეო საქმეთა  
საინისტრო

№ 1/1471-14  
თა. 11. 2008

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია  
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო  
მდივნის სამსახური

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად გიგზავნით,  
“საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ  
კონვენციის” ინგლისურენოვან და ქართულენოვანი ოფიციალურად  
დამოწმებული ტექსტების ასლებს შესაბამისი უწყებების დასკვნებითურთ.

დანართი: 37 ფურცელი.

ნინო კალანდაძე  
მინისტრი მოადგილე



31/3

7 11.



# საქართველო

საგარეო საქმეთა  
სამინისტრო

№ 468/14  
თბ. 11.11.2008

## დასკვნა

„საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის  
შესახებ კონვენციის“ თაობაზე

სამინისტრომ განიხილა „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ კონვენცია“ და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზამეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილ კონვენციის საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება.

ნინო კალანდაძე  
მინისტრი მოადგილე



№ 08-02/2602

„10“ თებერვალი 2008

თქვენს № \_\_\_\_\_

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

შემდგომი პროცედურებისათვის გიგზავნით „საქონლის აღწერისა და კოდირების  
პარმონიზებული სისტემის შესახებ“ ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის კონვენციის  
ქართულენოვან ტექსტს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით.  
შეთანხმების ფურცელი წერილს თან ახლავს.

დანართი: „32“ ფურცელი და ერთი CD-R

კახა ბაინდურაშვილი  
მინისტრის პირველი მოადგილე



შენიშვნების ფურცელი

შენიშვნის ავტორი	შენიშვნა	შედეგი
1.	2.	3.
<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 15.10 2008 №01/23/03-8772</p>	<p>1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად და ასევე „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, აღნიშნული კონვენციის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაცია.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
	<p>2. კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს მხარეთა ვალდებულებას მათთვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მოახდინონ მათი საბაჟო-სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურების შესაბამისობაში მოყვანა წინამდებარე კონვენციით დადგენილ ჰარმონიზებულ სისტემასთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას მხარეთა შიდა კანონმდებლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კონვენციას საჭიროების შემთხვევაში უნდა დაერთოს კანონპროექტი საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.</p>	<p>შენიშვნა არ არის გათვალისწინებული ვინაიდან საქართველო წარმოადგენს განვითარებად ქვეყანას და კონვენციის მე-4 მუხლით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მათ შორის ჰარმონიზებულ სისტემასთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას.</p>
	<p>3. გაერთიანებული ერების კლასიფიკაციით საქართველო</p>	<p>გათვალისწინებულია</p>

	<p>შესულია განვითარებად ქვეყნების სიაში. კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლებთან მიმართებაში სასურველია განისაზღვროს საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის მიერ, ამ მუხლებით გათვალისწინებული დებულებების გამოყენების მიზანშეწონილება.</p>	
	<p>4. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის I (ა) პუნქტის ვალდებულებების შესაბამისად, ყველა მონაწილე მხარემ უნდა განახორციელოს ისეთი ტექსტუალური ცვლილებები მის შედასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, რომელიც საჭიროა პარმონიზებული სისტემის ამოქმედებისათვის“.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია ნაწილობრივ. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემოთავაზებული რედაქციით.</p>
	<p>5. მე-12 და მე-13 მუხლებში კონვენციის მონაწილე მხარედ გახდომის და მისი ძალაში შესვლის ერთ-ერთ პროცედურად აღნიშნულია კონვენციასთან მიერთება. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის ერთ-ერთ საშუალებად ითვალისწინებს მასთან შეერთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებში სიტყვა „მიერთება“ შეიცვალოს სიტყვით „შეერთება“.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია</p>
	<p>6. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-17 მუხლის პირველი აბზაცი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მის ოფიციალურ ინგლისურენოვან ტექსტთან. კერძოდ: ფრაზა „მე-8 მუხლის</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია</p>

	<p>პუნქტი 2 და მე-16 მუხლი“ უნდა შეცვალოს ფრაზით “მე-8 მუხლი და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით”. ასევე ამავე მუხლის (გ) ქვეპუნქტში ფრაზა „მე-5 მუხლის პუნქტ 5-ში“ შეიცვალოს ფრაზით „მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში“.</p>	<p>—</p>
	<p>7. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-18 მუხლი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მის ოფიციალურ ინგლისურენოვან ტექსტთან. კერძოდ, სიტყვა „შენიშვნები“ უნდა შეცვალოს სიტყვით „დათქმები“.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია</p>
	<p>8. მე-19 მუხლის (გ) ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ გენერალურმა მდივანმა მონაწილე სახელმწიფოებს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება იმ თარიღის შესახებ, როდესაც კონვენცია ძალაში შედის მე-16 მუხლის შესაბამისად. ვინაიდან კონვენციის ძალაში შესვლის პროცედურები გათვალისწინებულია არა მე-16 არამედ მე-13 მუხლში, აქედან გამომდინარე ფრაზა „მე-16 მუხლის“ უნდა შეცვალოს ფრაზით „მე-13 მუხლის“, რაც ასევე შესაბამისობაში იქნება კონვენციის ოფიციალურ ინგლისურენოვან ტექსტთან.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია</p>
<p>ქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (10.10.07წ. №21/3043/37)</p>	<p>შენიშვნები არ გააჩნიათ</p>	

FROM :

FAX NO. :

May. 02 2005 12:17AM P1

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

10.10 2007 წ. № 21/3049/3-7

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის 13 სექტემბრის, №07-04/9428 წერილით წარმოდგენილი "საქონლის აღწერისა და კოდირების პარამონიზებული სისტემის შესახებ" ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის საერთაშორისო კონვენცია და მისი დანართი: პარამონიზებული სისტემის ნომენკლატურა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

*[Handwritten signature]*  
ნანა დამენია  
მინისტრის მოადგილე

ქ-6 თაკო კოჩკოძის

FROM :

FAX NO. :

May. 02 2005 12:17AM P1

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

10.10 2007 წ. № 21/3043/3-7

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის 13 სექტემბრის, №07-04/9428 წერილით წარმოდგენილი "საქონლის აღწერისა და კოდირების პარამონიზებული სისტემის შესახებ" ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის საერთაშორისო კონვენცია და მისი დანართი: პარამონიზებული სისტემის ნომენკლატურა. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

*[Handwritten signature]*  
ანა დამენია  
მინისტრის მოადგილე

ქ-6 თაკო კომპიუტერს